

საქართველო და ეკონომიკური კრიზისი

ირაკლი გვეგშიძე

სტუ დოქტორანტი

ეკონომიკური კრიზისის დამახასიათებელი პირველი ნიშანია, როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტი ეცემა. საერთოდ, კრიზისის განმსაზღვრელი რამდენიმე ინდიკატორი არსებობს: უმუშევართა მაღალი დონე, საბანკო სესხების და კრედიტების გადაუხდელობა, ინვესტირების შემცირება. ამ ინდიკატორების გაუარესების შემთხვევაში, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრიზისი დაწყებულია.

რეცესია თავისი არსით არის კრიზისის მთავარი სტადია, ანუ რეცესია ეკონომიკის ენაზე იგივე კრიზისია. რეცესია არის ისეთი სიტუაცია, როდესაც ქვეყნის ეკონომიკაში გამოცოცხლების ნიშან-წყალი არ ჩანს.¹

საქართველოში ეკონომიკა ღრმა რეცესიაშია და კრიზისისკენ მიემართება. ეს ბიზნესის ყველა სეგმენტზე მეტ ნაკლები პროპორციითაა ასახული. შემცირებულია მოსახლეობის გადახდისუნარიანობა, რაც, თავის მხრივ, იწვევს მოხმარების და ეკონომიკური აქტივობის შემცირებას. ექსპორტ-იმპორტის მოცულობა 30-40%-ითაა შემცირებული. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაორმაგებულია იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ვერ იხდიან საბანკო კრედიტებს. ასევე გაზრდილია უმუშევრობა, შემცირებულია საარსებო მინიმუმი, წლის ბოლომდე კი ოფიციალური მონაცემებით ეკონომიკა 1,5%-ით შემცირდება. შეჩერებულია ინვესტიციები და უცხოეთიდან ფულადი გადმორიცხვები, რაც წლების მანძილზე აბალანსებდა ნეგატიურ ტენდენციებს ეკონომიკაში. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2010 წლის ნოემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 75 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 4.4 მლნ აშშ დოლარით, ანუ 5.6 პროცენტით ჩამორჩება ოქტომბრის მონაცემს. ძირითადად, რუსეთიდან ფულადი ნაკადების კლებამ გამოიწვია 3.2 მლნ აშშ დოლარით, ანუ 7.5 პროცენტით ფულადი გზავნილების მოცულობის შემცირება. ფულადი გზავნილები შემცირდა: უკრაინიდან, იტალიიდან და თურქეთიდანაც - თითოეულიდან 0.3 მლნ აშშ დოლარით,

¹ გრეგორი მენქიუ- ეკონომიკის პრინციპები. თბილისი, დიოგენე, 2000 წ. გვ. 579.

ანუ 4, 8.3 და 13 პროცენტით. სახარბიელო მდგომარეობა არც სხვა ქვეყნებიდან წამოსულ ნაკადებში იკვეთება. უცხოური გადმორიცხვები ყველა ქვეყნიდან შემცირდა. უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 89.4 პროცენტი 8 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის. ყველა ეს მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკა კრიზისისკენ მიემართება და საჭიროებს ფინანსურ ინექციებს.¹

ცენტრალური ბანკის ფულადი ინფლაცია და ნაწილობრივი რეზერვების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემის საკრედიტო ექსპანსია, რასაც უცხოური სუბსიდიების (ე.წ. დახმარების) ხარჯზე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდაც ერთვის თან, იწვევს სარგებლის განაკვეთის ხელოვნურ შემცირებას და ეკონომიკის ხელოვნურ გამოცოცხლებას, რაც ქმნის ილუზიას, რომ ქვეყანაში იმაზე მეტი რესურსებია, ვიდრე სინამდვილეშია. შესაბამისად, ადამიანები ზედმეტად ოპტიმისტურად უყურებენ მომავალს და იწყებენ წარმოების გაფართოებას, რასაც ფასებისა და ხელფასების ზრდა, დასაქმებულთა რიცხვისა და ნომინალური შემოსავლების მატება სდევს თან. მაგრამ ბევრი ფული არ ნიშნავს ბევრ რესურსს. ცენტრალურ ბანკს შეუძლია ბეჭდოს ქალაქის არაუზრუნველყოფილი ფული, მაგრამ რეალური რესურსების წარმოება დროს მოითხოვს. თუ ინვესტიციები ეყრდნობა არა შესაბამის დანაზოგებს, არამედ საკრედიტო „ბუშტებს“, მაშინ ამას არსებული რესურსების ზე-ინტენსიური მოხმარება და „გამოფიტვა“ ახლავს თან. გარკვეულ ეტაპზე აღმოჩნდება, რომ ინვესტიციები ჩადებულია პროექტებში, რომელთა დასამთავრებლად არ არსებობს სათანადო რესურსები, შესაბამისად, ვალდებულებები მეტია, ვიდრე მათ გასასტუმრებლად არსებული რეალური რესურსები. დგება კრიზისი, ანუ ვითარების გააზრებისა და სამეურნეო ურთიერთობების რესტრუქტურისაციის ეტაპი.

ქვეყნის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის მონაცემებით, შემცირება ყველა ძირითად საექსპორტო საქონელს, მათ შორის ნედლ ნავთობსაც შეეხო. მისი ექსპორტისგან მიღებულმა შემოსავლებმა 5,7-ჯერ იკლო. თუ ერთი ტონა აზერბაიჯანული ნავთობი 2008 წლის იგივე პერიოდში 530 დოლარი ღირდა, ამ ეტაპზე ეს მონაცემი 365 დოლარამდე შემცირებული. ასევე დაეცა ნავთობპროდუქტების ექსპორტისგან მიღებული შემოსავლები. ამ სეგმენტში ვარდნამ 31,4%-ს მიაღწია.

საქართველოში უმძიმესი საბანკო კრიზისია(!), რაც საბოლოოდ

1 www.statistica.ge გადამოწმებულია 10.03.2012.

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

მასშტაბურ ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისს გამოიწვევს. აღნიშნული სიტყვები ეკუთვინს საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი ბანკის „ბანკი რესპუბლიკა“-ს ხელმძღვანელს და „სოსიეტე ფენერალის“ წარმომადგენელს ჟერემი ლონგრეს, რომელიც სულ ახლახანს მოავლინეს საფრანგეთიდან. მან აღნიშნა: „ჩვენი ბანკის სათავე ოფისიდან-პარიზიდან მიღებული გვაქვს კატეგორიული მითითება, რომ საქართველოში, ყველანაირი კრედიტების გაცემა შევწყვიტოთ და დაველოდოთ ახალ განკარგულებას.“ „ბანკი რესპუბლიკა“ ერთადერთი არ არის საქართველოში, რომელიც აგვისტოს შემდეგ უმძაფრეს ფინანსურ კრიზისს განიცდის. ოფიციალურად არც ერთი ბანკი აღიარებს, მაგრამ მომხმარებლებმა კარგად იციან, რომ დღეს, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიულ პირისთვის, პრაქტიკულად, ბანკის იმედზე ახალი საქმის წამოწყება არა თუ სარისკოა, შეუძლებელიცაა.

2005 წლიდან 2008 წლის მაისამდე საქართველოში ეკონომიკის ზრდა განპირობებული იყო საბანკო სისტემის აქტიურობით, თუმცა, კომერციული ბანკების საკრედიტო აქტიურობამ, შემოთავაზებული კრედიტების შინაარსიდან გამომდინარე, ხელი ვერ შეუწყო წარმოების ზრდას და რეალური ეკონომიკის შექმნას, რაც მომავალში უზრუნველყოფდა ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნებას და მდგრადი ეკონომიკის ჩამოყალიბებას. კრედიტებით, ძირითადად, იმპორტი წახალისდა, რამაც ქვეყნიდან ფულის გასვლა თავისთავად განაპირობა. ერთი სიტყვით, 2008 წლის გაზაფხულიდან ქვეყნის ეკონომიკას ფინანსური რესურსის პრობლემა დაუდგა. ვალებში აღმოჩნდა გახვეული, ერთის მხრივ, ეკონომიკაში ჩართული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, მეორეს მხრივ კი თავად ბანკები, რომლებიც ფინანსურ რესურსებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან იღებდნენ ვალად. ამ ყველაფრის ფონზე, როდესაც ეკონომიკამ ვარდნა დაიწყო, ბუნებრივია, საბიუჯეტო შემოსავლებიც შემცირდა.

საერთაშორისო საფინანსო კრიზისი, რომელმაც გაღვივება 2008 წლის დასაწყისიდან დაიწყო, საქართველოზე იმდენად აისახა, რამდენადაც ჩვენი ეკონომიკა დამოკიდებული იყო საერთაშორისო იმპულსებზე. მსოფლიო ფინანსური კრიზისი, თავისი არსით, ორ მომენტში აისახა. ერთის მხრივ, შემცირდა მოხმარება, დაეცა გაყიდვები და მოხდა ფასების მკვეთრი ვარდნა, ამ ყველაფერმა შეზღუდა ბიზნესის აქტივობა და სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა იგი. მეორეს მხრივ,

ეკონომიკაში გაჩნდა უნდობლობის მომენტი და შეიზღუდა ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა - დაეცა საინვესტიციო აქტივობა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა გაართულეს საკრედიტო პოლიტიკა. საქართველოს ეკონომიკის განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, მასზე განსაკუთრებით მტკივნეულად საინვესტიციო აქტივობის და საერთაშორისო ფინანსური რესურსების შეზღუდვა აისახა. ერთი სიტყვით, საერთაშორისო საფინანსო კრიზისმა საქართველოს ეკონომიკას კიდევ უფრო გაუღრმავა ფინანსური რესურსების პრობლემა. ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, უცხოური საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერის შეწყვეტა კატასტროფაა. ქართული ბანკების აბსოლუტური უმრავლესობა, ანაბრების სიმცირისა და წარმოებების სიმცირის გამო, საზღვარგარეთიდან შემოსული კაპიტალით „იდგა ფეხზე“.

2008 წლის 23 ოქტომბერს ბრიუსელში გაიმართა დონორთა კონფერენცია, რომელზეც საქართველოსთვის რუსეთთან საომარი კონფლიქტის შედეგების აღმოსაფხვრელად 4.5 მილიარდი დოლარის გამოყოფა გადაწყდა. კერძოდ, მსოფლიო ბანკიდან - 530 მილიონი დოლარი, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკიდან - 927 მილიონი დოლარი, აზიის განვითარების ბანკიდან - 300 მილიონი დოლარი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციიდან - 350 მილიონი დოლარი, ევროპის საინვესტიციო ბანკიდან - 330 მილიონი დოლარი, ამერიკის შეერთებული შტატებისგან - 1 მილიარდი დოლარი, ევროკომისიისგან - 638 მილიონი დოლარი, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისგან - 174 მილიონი დოლარი, იაპონიისგან - 200 მილიონი დოლარი და კიდევ რამდენიმე სახელმწიფომ საერთო ჯამში 88 მილიონი დოლარი გამოყო. საქართველოსთვის მსგავსი მოცულობის ფინანსური რესურსის გამოყოფა მართლაც შეიძლება აღგვექვას, როგორც ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენა. მაგრამ ერთია, როდესაც ფული გაქვს და მეორე საკითხია, როგორ შეგიძლია ამ ფულის გამოყენება. ბრიუსელის კონფერენციის შემდეგ საქართველოს მთავრობის წინაშე დადგა ორი საკითხი: პირველი - რამდენად ეფექტიანად განკარგავდა ფინანსურ რესურსებს და მეორე - რამდენად უზრუნველყოფდა ამ თანხის კანონის დაცვით ხარჯვას.¹

ამ რესურსის განკარგვისას საქართველოს მთავრობის წინაშე ორი

¹ www.bfm.ge. გადამოწმებულია 03.10.2012.

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

ამოცანა იდგა. პირველი, უშუალოდ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულების ელემენტარული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და მეორე, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკის რეაბილიტაცია. აღნიშნული მიდგომები გამოყოფილი თანხების მიზნობრიობაშიც ჩანს. დონორთა ერთი ნაწილის მიერ გამოყოფილი რესურსებით პირდაპირ დაფინანსდა იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებები, ამ სახსრების განკარგვას დონორები, ხშირ შემთხვევაში, თავად აკონტროლებდნენ. ამ ტიპის დახმარებები, ძირითადად, ევროპულმა სახელმწიფოებმაც გამოყვეს, საბოლოო ჯამში, ამ მიმართულებით, 350 მილიონი დოლარის რესურსი გამოიყო. ბრიუსელის კონფერენციაზე ფინანსური რესურსის ძირითადი ნაწილი ეკონომიკის რეაბილიტაციისთვის გამოიყო. სექტორების მიხედვით, დახმარებები ასე გადანაწილდა: საბანკო სისტემისთვის 853 მილიონი დოლარი; გზების გაყვანა-რეაბილიტაციისა და რკინიგზის რეკონსტრუქციისთვის 682 მილიონი დოლარი; ბიუჯეტი და მაკრო-საფინანსო დახმარებისთვის 586 მილიონი დოლარი; ენერგეტიკის სექტორის განვითარებისთვის 381 მილიონი დოლარი; კერძო და საფინანსო სექტორისთვის 252 მილიონი დოლარი; ურბანული და მუნიციპალური პროექტებისთვის 211 მილიონი დოლარი; გადაუდებელი საჭიროებებისთვის 100 მილიონი დოლარი. დაახლოებით 1 მილიარდი დოლარის ხარჯვის პრიორიტეტებზე მუშაობა დღესაც მიმდინარეობს. ერთი სიტყვით, ქართული კრიზისი დასაძლევად საქართველოს მთავრობას 4 მილიარდზე მეტი დოლარის რესურსი გადაეცა.

მსოფლიო კრიზისების ისტორია გვიჩვენებს, რომ ასეთი პერიოდის გადალახვა მხოლოდ ეროვნული პროდუქციის და წარმოების ხელშეწყობით არის შესაძლებელი. ეს თეზა კიდევ უფრო მისაღები ხდება მას შემდეგ, როდესაც გავიაზრებთ ქართული კრიზისის გამომწვევ ძირითად მიზეზებს. კრიზისი კი გაცილებით ღრმა იყო და მას გაცილებით გააზრებული მიდგომები სჭირდებოდა, ვიდრე სწორხაზოვანი პროექტების განხორციელება. ბრიუსელის კონფერენციის წლისთავზე გამოყოფილი თანხის ეფექტურობა ორი კუთხით უნდა განვიხილოთ. ერთის მხრივ, საქართველომ მიიღო ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ფინანსური რესურსი, რომლის მიღების სხვა შანსი მაშინ არ არსებობდა. მეორე კუთხით კი უნდა ითქვას, რომ ამ რესურსის უფრო ეფექტიანად გამოყენება და ეკონომიკის სრული რეაბილიტაციაც შესაძლებელი იყო, თუ მოხდებოდა არა ერთჯერადი პროექტების დაფი-

ნანსება, არამედ ადგილობრივ წარმოებაზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე გადასვლა.¹

ეს დახმარება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. რაც შეეხება ამ თანხების სწორად განაწილებას, არ ვფიქრობ, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ამ თანხების ძირითადი ნაწილის მიმართვა სწორი იყო, უკეთესი იქნებოდა თანხების ნაწილი კერძო სექტორის ეკონომიკური აქტივობის შენარჩუნებას მოხმარებოდა. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ცოტა რამ გაკეთდა და ამის შედეგად ჩვენ ვხედავთ, რომ ძალიან ბევრი სამუშაო ადგილი დაიკარგა. ეკონომიკა არ არის იმ მდგომარეობაში, რომ ზრდა სტაბილურად შესაძლებელი იყოს. როცა კრიზისული მდგომარეობაა, მთავარია ეკონომიკის არსებული მდგომარეობის შენარჩუნება და არა მისი ზრდა. ის, რომ ინფრასტრუქტურული პროექტებით ხდება ეკონომიკის არსებული მდგომარეობისა და სამუშაო ადგილების შენარჩუნება, გასაგებია, მაგრამ კერძო სექტორის აქტიურობის შენარჩუნებისთვის, პრაქტიკულად, არაფერი გაკეთებულა. საუბარია იმ ღონისძიებებზე, რაც გატარდა აშშ-ში და ევროპაში, ამ ყველაფრის გამო ჩვენმა კერძო სექტორმა ძალიან ბევრი დაკარგა და ჯერ კიდევ ძალიან სუსტად გრძნობს თავს.

ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ნიშნები უკვე მსფოლიოშიც თვალნათლივ დაინახეს და საქართველოშიც. მიუხედავად ამისა, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სრულ მდგრადობას მინიმუმ 2-3 წელი კიდევ გვამოწმებს. სანამ ეკონომიკურ სტაბილურობას უბრალო მოქალაქეები იგრძნობენ, მანამდე კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის. ეკონომიკურ კრიზისს აზიის ქვეყნები ყველაზე ხეირიანად უმკლავდებიან. ასეთი ოპტიმისტური განცხადება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთაურს დომინიკ სტროს-კანს ეკუთვნის, რომელიც იქვე დასძენს, რომ რეცესირებული ეკონომიკის აღდგენის პროცესი კუს ნაბიჯით მიიწევს წინ. სტროს-კანს არც ის დაუმაღავს, რომ კრიზისის მეორე ტალღა მოსალოდნელი აღარ იქნება. „მსოფლიო ეკონომიკა აღდგენას იწყებს. უკანასკნელი მონაცემები გლობალურ ეკონომიკურ სტაბილიზაციას ადასტურებს. რამდენიმე ქვეყანის ეკონომიკა ზრდისკენაც კი წავიდა. ამ გზაზე კი, ყველაზე პირველი აზიაა, თუმცა მდგომარეობა აშშ-სა და დასავლეთ ევროპაშიც უმჯობესდება“, - განაცხადა ფონდის ხელმძღვანელმა და აღნიშნა, რომ ყოველივე ამის მიუხედავად, უმუშევრობა მომავალშიც გაიზრდება.

¹ სირბილაძე რ. საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრობლემები. თბილისი, 2005. გვ. 137.